

**კინოტელერეჟისორი 080151  
პროფესიული სტანდარტი**

**I.სფეროს აღწერა**

კინოტელერეჟისორი სატელევიზიო და კინო წარმოების დარგობრივი სფეროს პროფესიული კვალიფიკაციაა. რეჟისორის პროფესიული ამოცანაა შექმნას სრულფასოვანი კინო ან ტელე ნაწარმოები (სატელევიზიო გადაცემა, დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმი, სატელევიზიო რეკლამა და ვიდეო კლიპი).

**II. დასაქმების სფერო**

- სამაუწყებლო ტელე-კომპანიები;
- სარეკლამო სტუდიები;
- კინოსტუდიები;
- ტელე-პროდუქციის მწარმოებელი სხვა სტუდიები.

**III. დამატებითი მოთხოვნები:**

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

კინოტელერეჟისორის კვალიფიკაციას სტუდენტი იღებს პროფესიული განათლების მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე. თითოეული საფეხურისთვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

მეოთხე საფეხურის სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

ამ საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კინოტელერეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

მეხუთე საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება კინოტელერეჟისორის პროფესიული კვალიფიკაცია.

**V. კინოტელერეჟისორის კვალიფიკაციის აღმწერი**

კინოტელერეჟისორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის ფილმწარმოებისა და სატელევიზიო გადაცემის შექმნის პრინციპები, რეჟისურის საფუძვლები, მსახიობთან, გადაცემის წამყვანთან მუშობა, კინო გადაღების, სატელევიზიო გადაცემის ჩაწერის და პირდაპირ ეთერში გაშვების წესები, კინოსცენარის და ტელეგადაცემის სცენარის შექმნის პრინციპები.
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია კინო გადაღების და ტელე ჩაწერის ორგანიზება და მისი ტექნიკურ-შემოქმედებითი მომზადება; ტელეგადაცემის ჩაწერა და ეთერში გაშვება, სატელევიზიო შოუში აუდიტორიის და სხვა მასობრივი სცენების ორგანიზება, მეორე პლანისა და მასიური სცენების მსახიობებთან მუშაობა, სინჯების ჩატარება.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია წინასწარდასახული შემოქმედებითი ამოცანის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ტექნიკური და სხვა სახის პრობლემების ამოცნობა და მათ გადასაჭრელად კონკრეტული დასკვნის გაკეთება; აგრეთვე, მიღებული შემოქმედებითი შედეგის შეფასება და ანალიზი.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	აქვს შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალთან პროფესიული ურთიერთობის უნარი; მის კომპეტენციაში შემავალი დავალების შესაბამისად კონტაქტის დამყარების და შესრულებაზე კონტროლის უნარი. ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ საშუალებებს და შეუძლია ინფორმაციის მიღება და გადაცემა.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია კინოსა და ტელევიზიის მუდმივად ცვალებად და განვითარებად გარემოში ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების შესწავლა, კინო და ტელე გადაცემათა ახალი ნაწარმოებების გაანილიზება.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აცნობიერებს მისი თანამონაწილეობით შექმნილი კინო და ტელე ნამუშევრების რეიტინგის მნიშვნელობას პროფესიული ზრდის მიზნით.

კინოტელერეჟისორის მუხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის საზოგადოებისთვის საჭირო და საინტერესო თემის მოძიება; დრამატურგთან ან დამოუკიდებლად თემის სცენარად ჩამოყალიბება და ეკრანულ ნაწარმოებად განხორციელება.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია: სარეჟისორო სცენარის დაწერა, კინო-ტელე პროექტის შექმნა; მოსამზადებელი, გადაღების და მონტაჟის პერიოდების დაგეგმვა და განხორციელება; მსახიობის შერჩევა და მასთან მუშაობა ჩაფიქრებულ იერსახეთა განსახორციელებლად; უდიოვიზუალური ნაწარმოების (დოკუმენტური ფილმის, სატელევიზიო გადაცემის, ვიდეო კლიპის, სარეკლამო რგოლის და “თრაილერის”) შექმნა;</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალოზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია ეკრანული ნაწარმოების მოსამზადებელი, გადაღების, დამონტაჟება-გახმოვანების პროცესში წარმოშობილი პრობლემების გაანალიზება და კვალიფიციური დასკვნის გაკეთება.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია თავისი იდეების და ჩანაფიქრის განსახორციელებლად თანამოაზრეთა და თანამშრომელთა შემოქმედებითი ჯგუფის შეკრება; ურთიერთობა პროდიუსერთან, სცენარისტთან, ოპერატორთან, მხატვართან, შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფის სხვა წევრებთან; მათი მუშაობის ხელმძღვანელობა. კომუნიკაცია დამკვეთთან, დამფინანსებლებთან, ტელევიზიებთან, ფორუმებთან, ფესტივალებთან (მათ შორის ელემენტარულ ინგლისურ ენაზე), მათთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. იცნობს და შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>უნარი აქვს მოიძიოს და თვითგანვითარებისთვის გამოიყენოს ნებისმიერი ფორმის პროფესიული ინფორმაცია, გაეცნოს ახალ მიმართულებებს, მიღწევებს, გამოიყენოს ისინი შემოქმედებაში; გაიზიაროს კოლეგების გამოცდილება; გამოიყენოს ბეჭდვითი და ინტერნეტ რესურსები თვალსაწიერის გასაფართოებლად.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აცნობიერებს კინოტელერეჟისურასთან დაკავშირებული მორალურ ეთიკური და სამართლებრივი საკითხებს.</p>